სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრი

2017 წლის 6 თვის ანგარიში

2017 წლის პირველ და მეორე კვარტლებში, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრში, ჩატარდა რვა ტრენინგი „სახელმწიფო შესყიდვების კურსი“ სახელმწიფო უწყებების, მათზე დაქვემდებარებული სსიპ-ებისა და შპს-ების, საქართველოს მუნიციპალიტეტების ორგანოებისა და მათ მიერ დაფუძნებული და მათ მართვაში არსებული კერძო სამართლის იურიდიული პირების (ააიპ-ების, შპს-ებისა და სხვ.), ასევე საჯარო სკოლების შესყიდვების კუთხით დასაქმებული სპეციალისტებისათვის.

სულ გადამზადდა 601 მსმენელი. აქედან, 294 მსმენელი (48,9 %) სახელმწიფო უწყებების, 209 ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და მათ მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების (34,8 %), ხოლო 98 - საჯარო სკოლების შესყიდვების სფეროში დასაქმებული სპეციალისტი (16,3 %).

მსმენელთა გენდერული ნიშნით დაყოფისას მივიღეთ შემდეგი სურათი:

601 მსმენელს შორის წარმოდგენილი იყო 379 ქალი (63 %) და 222 (37 %) მამაკაცი.

მსმენელთა ასაკობრივი ნიშნით დაყოფისას მივიღეთ შემდეგი სურათი:

35 წლამდე - 330 მსმენელი (55 %); 50 წლამდე - 229 მსმენელი (38,1 %); 65 წლამდე - 42 მსმენელი (6,9 %).

2017 წლის 6 თვეში, შეფასების 100 ქულიანი სისტემის პირობებში, მსმენელის მოსწრების შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ, გაიცა სამი კატეგორიის სერტიფიკატი. მათ შორის:

- **„წარმატებით ჩააბარა ტესტირება“** - 26 მსმენელი, (4,4 %)

- **„კარგად ჩააბარა ტესტირება“** – 391 მსმენელი; (65 %)
- **„დამაკმაყოფილებლად ჩააბარა ტესტირება“** – 162 მსმენელი, (27 %)
- **ვერ გადალახა ზღვარი** - 11 მსმენელი, (1,8 %)
- **არ გამოცხადდა ტესტირებაზე** - 11 მსმენელი, 1,8 %

მსმენელთა ანონიმური გამოკითხვის ანკეტების (601-დან წარმოდგენილი იქნა კითხვარის მხოლოდ 591 ერთეული) ანალიზის მიხედვით:

1. **ტრენინგის ორგანიზების ხარისხი არის:**

ძალიან კარგი - 487 მსმენელი, 82,4 %

კარგი - 104 მსმენელი, 17.6 %

არადამაკმაყოფილებელი, 0 %

2. **მიმაჩნია, რომ ეს მოდული, ზოგადად არის:**

ძალიან წარმატებული - 250 მსმენელი, 42,3 %

წარმატებული - 336 მსმენელი, 56,8 %

წარუმატებელი - 5 მსმენელი, 0,9%

3. **მიმაჩნია, რომ ამ მოდულის სწავლების პერიოდი არის:**

ნორმალური - 445 მსმენელი, 75,3 %

ხანგრძლივი - 15 მსმენელი, 2,5 %

ხანმოკლე - 131 მსმენელი, 22.2 %

4. **მიმაჩნია, რომ ჩემი საქმიანობისათვის ამ სახის ტრენინგი:**

აუცილებელია - 360 მსმენელი, 60,9 %

საჭიროა - 227 მსმენელი, 38.4 %

არ არის საჭირო - 4 მსმენელი, 0,7%

5. **ჩემი აზრით, დამხმარე მასალები:**

კვალიფიციურად არის შედგენილი და სრულია - 422 მსმენელი, 71,4 %

კვალიციფიურად არის შედგენილი, მაგრამ არასაკმარისია - 156 მსმენელი, 26.4 %

არაკვალიფიციურად არის შედგენილი - 13 მსმენელი, 2.2 %

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრის ამოქმედების დღიდან ანუ 2014 წლის 1 ოქტომბრიდან დღემდე, გადამზადებულია 2131 (ორიათასასოცდათერთმეტი) შესყიდვების კუთხით დასაქმებული სპეციალისტი.

მათ შორის: 963 (ცხრაასსამოცდასამი) მსმენელი სახელმწიფო უწყებების (45,1 %), ხოლო 1015 (ათასთხუთმეტი) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და მათ მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების (47,6 %), 98 (ოთხმოცდათვრამეტი) საჯარო სკოლების შესყიდვების სფეროში დასაქმებული სპეციალისტი (4,7 %). ასევე, 55 (ორმოცდათხუთმეტი) ბიზნეს-სექტორის წარმომადგენელი (2,6 %).

სასწავლო ცენტრის ადმინისტრაცია